



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №184

2016 წლის 31 აგვისტო

მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის №49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის (№6923.17.08.2016წ; №7535. 31.08.2016წ; №7552. 31.08.2016წ) მომართვების საფუძველზე,

1. შეტანილ იქნას ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის №49 განკარგულებაში, კერძოდ, პირველ პუნქტს დაემატოს „1.36“; „1.37“ და „1.38“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - 1.1. „1.36“ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსანში მდებარე 200 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ: №72.10.05.159;
 - 1.2. „1.37“. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში მდებარე 419 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ: №72.08.28.587;
 - 1.3. „1.38“ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში მდებარე 380 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ: №72.08.26.362.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ. №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოდაშვილი